ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5097170

ნომერი: AR1772751

თარიღი : 05.09.2020

გაცემის თარიღი : 09.09.2020

გაცნობის თარიღი : 09.09.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფალიაშვილი , N 44 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა არაყიშვილი , N 5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნათელა კეთილაძე პ/ნ 01006002769
- დიღმის მასივი კვ.2. კორპ 2

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 4 სექტემბრის №5084669 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 5 სექტემბერს №AR1772751 განცხადებით მომართა ნათელა კეთილაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020

წლის 4 სექტემბრის №5084669 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 4 სექტემბრის №5084669 გადაწყვეტილებით დადასტურდა, ქ. თბილისში, ქუჩა ფალიაშვილი, №44; ქალაქი თბილისი, ქუჩა არაყიშვილი, №5-ში, №01.14.11.017.007.01.510 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართის ფასადზე ვიტრაჟის მოწყობის შესაძლებლობა.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას სამსახურის 2020 წლის 4 სექტემბრის №5084669 გადაწყვეტილებაში, კერძოდ მიუთითებს, რომ გადაწყვეტილებაში განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოები მიეთითა არასწორად, „ვიტაჟის მოწყობის" ნაცვლად დაფიქსირდა „სარეკლამო ბრის მოწყობა".
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ 2020 წლის 20 აგვისტოს №AR1768892 განცხადებით სამსახურს მომართა ნათელა კეთილაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, ქუჩა ფალიაშვილი, №44; ქალაქი თბილისი, ქუჩა არაყიშვილი, №5-ში, №01.14.11.017.007.01.510 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართის ფასადზე ვიტრაჟის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურება. სამსახურის 2020 წლის 4 სექტემბრის №5084669 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად არასწორად მიეთითა განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 4 სექტემბრის №5084669 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 4 სექტემბრის №5084669 გადაწყვეტილებაში და განსახორციელებელ სამშენებლო სამუშაოებად „სარეკლამო ბრის მოწყობის" ნაცვლად დაფიქსირდეს „ვიტრაჟის მოწყობა".
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 4 სექტემბრის №5084669 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 4 სექტემბრის №5084669 გადაწყვეტილებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.